სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

# ცენტრალიზებული შესყიდვები,

# კონსოლიდირებული ტენდერები

# • ვინ იღებს გადაწყვეტილებას ცენტრალიზებული ტენდერების ჩატარების თაობაზე?



- ✓ კონსოლიდირებული ტენდერის ინიციატორია საქართველოს მთავრობა;
- ✓ საქართველოს მთავრობა გამოსცემს შესაბამის განკარგულებას და ამტკიცებს კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიას, მის შემადგენლობასა და საქმიანობის წესს;
- ✓ კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებასა და შემდგომ ადმინისტრირებას უზრუნველყოფს სატენდერო კომისია.

- რა როლი აქვს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ცენტრალიზებული შესყიდვის განხორციელებაში?

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ევალება კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებისათვის აუცილებელი კანონმდებლობით დადგენილი ორგანიზაციული, ტექნიკური და სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.



## • რა პრინციპებს ითვალისწინებს კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა?

1. გამარჯვებულად ჩაითვლება ის პრეტენდენტი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე დაბალ ფასს და ამავდროულად, დააკმაყოფილებს სატენდერო მოთხოვნებს.

2. გამარჯვებულად ჩაითვლება ყველა პრეტენდენტი, ვინც დააკმაყოფილებს სატენდერო მოთხოვნებს და დაეთანხმება სატენდერო კომისიის მიერ წინასწარ დადგენილ ფასს.



## • ვინ აფორმებს შესყიდვის ხელშეკრულებებს კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში?

კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებული ჩარჩო-ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმება, ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასა და თითოეულ შემსყიდველ ორგანიზაციას შორის.

# სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავების პროცესი



- ✓შემსყიდველ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა
- ✓ტექნიკური მოთხოვნების დადგენა-დაზუსტება და სტანდარტიზაცია
- ✓სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის მომზადება
- ✓ტენდერის განფასებადობა

# შემსყიდველი ორგანიზაციებიდან გეგმების გამოთხოვა CTD მოდულით და ელ. ფოსტის საშუალებით.



- ✓ კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის სისტემა (CTD.SPA.GE)
- ✓ მოთხოვნების ადეკვატურობა, ოპტიმალურობა

# ბაზრის კვლევა და მისი მიზნები




- ✓სეგმენტური ბაზრის დროული ინფორმირება
- ✓ზღვრული ფასების და ტენდერის ჯამური ღირებულების კვლევა
- ✓პრეტენდენტთა ლოგისტიკური შესაძლებლობების კვლევა
- ✓ბაზრის კვლევა, როგორც სატენდერო დოკუმენტაციის ხარვეზების აღმოჩენის საშუალება

# კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადება






- ✓ცხადდება ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით
- ✓კონსოლიდირებული ტენდერის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა
- ✓კონსოლიდირებული ტენდერის ნომერი იწყება აბრევიატურით - CON

# შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულად გამოვლენა






- ✓ პრეტენდენტ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის განხილვა
- ✓ შემოთავაზებული საქონლის ნიმუშის განხილვა
- ✓ დამატებითი კვლევების ჩატარება მოთხოვნილი ინფორმაციის გადამოწმების მიზნით
- ✓ წინადადების დაზუსტების შესაძლებლობა
- ✓ მიღებული ინფორმაციის შედეგად პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ან გამარჯვებულად გამოვლენა

# ხელშეკრულების მიმდინარეობა



- ✓ ტენდერის პროექტის შესაბამისი ინდივიდუალური ხელშეკრულებების გაფორმება შემსყიდველებსა და გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის
- ✓ ხელშეკრულების კონტროლის განხორციელება შემსყიდველის მიერ
- ✓ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სატენდერო კომისიის ფუნქცია

# კონსოლიდირებული ტენდერების შესყიდვის ობიექტები

- ნავთობპროდუქცია (საწვავი)
- ფიჭური სატელეფონო მომსახურება
- კომპიუტერები
- საბეჭდი ქაღალდი
- ავტომანქანების საბურავები
- უწყვეტი კვების წყაროები (UPS)
- A4 ფორმატის შავთეთრი ლაზერული პრინტერები და ორიგინალი კარტრიჯები
- სატელევიზიო საეთერო დრო (wGRP)
- სხვადასხვა სახის საკვების პროდუქტები
- სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება
- მზის ელექტროსადგურის სისტემები
- წიგნების ბეჭდვა
- სატრანსპორტო საშუალებები
- სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა
- სატრანსპორტო საშუალებების ძრავის ზეთები და ზეთის ფილტრები
- სატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორები
- საოფისე ავეჯი
- სასკოლო დაფები
- ნაგავშემკრები კონტეინერები
- ფარმაცევტული პროდუქტები
- სამედიცინო სახარჯი მასალები
- პირბადეები, დეზობარიერები, სადეზინფექციო საშუალებები, მათთვის განკუთვნილი დისპენსერები, უკონტაქტო ელექტრო თერმომეტრები

# ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერი:



- ევრორეგულარი (ოქტანობა არანაკლებ 92)
- პრემიუმი (ოქტანობა არანაკლებ 95)
- სუპერი (ოქტანობა არანაკლებ 98)
- დიზელი (არაუმეტეს PPM 50)
- ევროდიზელი (არაუმეტეს PPM 10)

# კონსოლიდირებულ ტენდერებამდე... (2011 წ.)

საწყავის სტატისტიკა:

| | | |
|---|---|---|
| სტატუსი „ხელშეკრულება დადებულია“ | • რაოდენობა- 720<br>• ღირებულება – 140,998,081.00 ლარი | **28%** |
| სტატუსი „ არ შემდგარი“ ტენდერი | • რაოდენობა - 2489<br>• ღირებულება – 362,090,478.00 ლარი | **72%** |

# კონსოლიდირებული ტენდერები



მიმწოდებელი



შემსყიდველი ორგანიზაციები სხვადასხვა სახის მოთხოვნების მიხედვით

500 ლიტრი | 1,000 ლიტრი | 2,000 ლიტრი | 10,000 ლიტრი | 100,000 ლიტრი | 1,000,000 ლიტრი | 2,000,000 ლიტრი

- ✓ პატარა მასშტაბის ტენდერი→ მიმწოდებლის არანაირი ინტერესი → არ შემდგარი ტენდერი→გამარტივებული შესყიდვა→ სახელმწიფო ბიუჯეტის არარაციონალური ხარჯვა
- ✓ საშუალო მასშტაბის ტენდერი→ ინდიფერენტული წინადადების შემოთავაზებისას→ მცირეოდენი ფასდაკლება → ნაკლები არარაციონალური ხარჯვა სახელმწიფო ბიუჯეტისა
- ✓ დიდი მასშტაბის ტენდერი→ დიდი ინტერესი, დიდი კონკურენცია, დიდი ფასდაკლებები→ სახელმწიფო ბიუჯეტის რაციონალური ხარჯვის ოპტიმიზაცია

# გამარჯვებული მიმწოდებლისგან საწვავის შესყიდვის მეთოდები



საწვავის შესყიდვის / ჩასხმის პრიორიტეტული მეთოდები:

1) „აგაი“ სისტემა

2) ნომრიანი პლასტიკური ბარათები

3) უნომრო პლასტიკური ბარათები

4) ტალონები

ნებართვა

# არაგამარჯვებული მიმწოდებლისგან საწვავის შესყიდვის შემთხვევა:

**კომისიის თანხმობა!!!**



- ✓ შემსყიდველი ორგანიზაცია გამარჯვებული პრეტენდენტის ავტოგასამართი სადგურიდან დაშორებულია 15 კმ-ზე მეტი მანძილით.
- ✓ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი მარკის საწვავის ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტისგან შესყიდვა გამოიწვევს უფრო მეტ დანახარჯს, ვიდრე ამ საწვავის სხვა პირისგან შესყიდვა.

# კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერი



- **პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერი (**ლეპტოპი**)**
- **პერსონალური კომპიუტერი (**კომპლექტი: სისტემური ბლოკი, მონიტორი, მაუსი, კლავიატურა**)**

✓ **გარანტია** - 3 წელი;

✓ **ლიცენზირებული ოპერაციული სისტემა**

# პრინტერები და კარტრიჯები



- **A4 ფორმატის შავ-თეთრი პრინტერები და მათთვის განკუთვნილი ორიგინალი კარტრიჯები**

- ✓ **გარანტია** - პრინტერებზე 3 წელი, კარტრიჯებზე 1 წელი;
- ✓ ორიგინალი კარტრიჯების შესყიდვა 3 წლის განმავლობაში

# უწყვეტი კვების წყაროები (UPS)



- პერსონალურ კომპიუტერისთვის განკუთვნილი უწყვეტი კვების წყარო

✓ გარანტია - 3 წელი;

# საბეჭდი ქაღალდი



- უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი
- პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი

✓ **ტრანსპორტირება** – მიმწოდებლის ხარჯი ქ. თბილისის ტერიტორიის ფარგლებში

# საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერი

## * გამონაკლისი *

თუ წლის განმავლობაში შესასყიდი საბეჭდი ქაღალდის რაოდენობა არ აღემატება 25 შეკვრას

+

თუ ორგანიზაციის ფაქტობრივი მისამართი არ არის ქ. თბილისში ან ქ. ქუთაისში

→

უფლებამოსილია საბეჭდი ქაღალდი შეისყიდოს რომელიმე სხვა მიმწოდებლისაგან, სატენდერო კომისიის წინასწარი თანხმობის საფუძველზე

# სატრანსპორტო საშუალებები



- ✓ სტანდარტიზაცია
- ✓ ავტოპარკის ერთგვაროვნება ცენტრალიზაციის შედეგად
- ✓ ტექმომსახურებაზე ხარისხის გაუმჯობესება დანახარჯების შემცირება
- ✓ კონსოლიდაციის შედეგად მიღებული მნიშვნელოვანი საბიუჯეტო ეკონომია

# ავტომანქანების საბურავების კონსოლიდირებული ტენდერი (თანმდევი მომსახურებით)



- ✓ მცირე და დიდი ტვირთამწეობის საბურავები (თანმხლები მომსახურებით)
- ✓ შემოთავაზებული საბურავის ხარისხი უნდა დასტურდებოდეს ევროპის ეკონომიკური კომისიის (the Economic Commission of Europe „ECE“) მიერ გაცემული სერტიფიკატის ფლობით.

# სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა



შემსყიდველი ორგანიზაციების ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებებისათვის:

- ✓ ძარის დაზღვევის (A),
- ✓ მესამე პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის (B)
- ✓ უფლებამოსილი მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობის ზიანის დაზღვევის (C) მომსახურების შესყიდვა.

# სატრანსპორტო საშუალებების ძრავის ზეთები და ზეთის ფილტრები (თანმდევი მომსახურებით)






- 18 სხვადასხვა ტექნიკური მახასიათებლების ძრავის ზეთი და ზეთის ფილტრი;

- თანმდევი მომსახურება - ზეთის და ზეთის ფილტრის შეცვლა

- განისაზღვრა ზეთის შესაბამისობები, სპეციფიკაციის დონეები - API; SN; /SL; ACEA; CF

- სატრანსპორტო საშუალების ძრავის ზეთის და ფილტრის შეცვლა მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს სავალდებულოდ შემდეგ ქალაქებში განთავსებულ სერვის-ცენტრებში:

  *ქ. თბილისი (არანაკლებ 5 სერვის-ცენტრი); ქ. ქუთაისი; ქ.ბათუმი; ქ.თელავი; ქ. ზუგდიდი; ქ.ახალციხე; ქ.გორი; ქ.მარნეული; ქ.ფოთი.*

# სატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორები (თანმდევი მომსახურებით)



- ✓ 35 სხვადასხვა ტიპის აკუმულატორი;
- ✓ ***გარანტია*** - *3 წელი;*
- ✓ სატრანსპორტო საშუალებებზე აკუმულატორების დემონტაჟი-მონტაჟი და შემსყიდველის საწყობში მიწოდება მიმწოდებელმა განახორციელოს სავალდებულოდ შემდეგ ქალაქებში ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე არაუმეტეს 15 კმ-ის რადიუსში (გარდა ქ. თბილისისა) განთავსებულ სერვის-ცენტრებში:

  *ქ. თბილისი (არანაკლებ 3 სერვის-ცენტრი); ქ. ქუთაისი; ქ.ბათუმი; ქ.თელავი; ქ. ზუგდიდი; ქ.ახალციხე; ქ.გორი; ქ.მარნეული; ქ.ფოთი.*

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

# ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერი



- ✓ წინასწარ განსაზღვრული ტარიფები
- ✓ ერთზე მეტი გამარჯვებული პრეტენდენტი

# სატელევიზიო საეთერო დროის (Wgrp) კონსოლიდირებული ტენდერი



- ✓ ემსახურება სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელებას, რაც მოიაზრებს სხვადასხვა სახის საინფორმაციო ვიდეორგოლების ეთერში განთავსებას.
- ✓ სატელევიზიო საეთერო დროის შესყიდვა შეწონილი რეიტინგის პუნქტის (Wgrp) მეშვეობით.
- ✓ წინასწარ დადგენილი ტარიფები და რამდენიმე გამარჯვებული

# სხვადასხვა სახის კვების პროდუქტები



- ✓ 140 სახეობის საკვები პროდუქტი

- ✓ საკვები პროდუქტის ტენდერები სავალდებულოდ ვრცელდება:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან სისტემაში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციები;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა;
- საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

# ფარმაცევტული პროდუქტები



- ✓ 1198 სხვადასხვა დასახელების მედიკამენტი;
- ✓ მედიკამენტების ვარგისიანობის ვადა მიწოდების მომენტიდან არანაკლებ 12 თვე;
- ✓ უზრუნველყოფილია მედიკამენტების სწრაფი და დროული მიწოდება საქართველოს მასშტაბით, სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების დაცვით;
- ✓ კონსოლიდირებული ტენდერები ცხადდება მედიკამენტის საერთაშორისო არაპატენტირებული სახელწოდებით (ჯენერიკით), რამაც გაზარდა კონკურენცია.

# სამედიცინო სახარჯი მასალები



- ✓ 12 ტიპის სამედიცინო სახარჯი მასალა, რომელიც დაყოფილია კიდევ 103 სხვადასხვა პარამეტრების მქონე მასალებად;
- ✓ მაღალი ხარისხის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატ(ებ)ი ან/და CE მარკირება;
- ✓ სამედიცინო სახარჯი მასალების ტრანსპორტირებისას დაცულია სანიტარულ–ჰიგიენური ნორმები;

# მზის ელექტროსადგურის სისტემები



- ✓ ტენდერი გამოცხადდა მზის ელექტროსადგურის სისტემების შესყიდვაზე მონტაჟითა და თანმდევი საგარანტიო მომსახურებით

- ✓ შესყიდვა განხორციელდება იმ მაღალმთიანი სოფლებისათვის, სადაც არიან მუდმივი მაცხოვრებლები და ამასთან, ამ დრომდე არ განხორციელებულა ელექტროფიცირება.

# სკოლის მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურება



- ✓ განკუთვნილია სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებისთვის სახლიდან სკოლამდე და უკან.
- ✓ შემუშავდა ერთიანი სტანდარტები და გაუმჯობესდა მომსახურების ხარისხი
- ✓ გამოცხადებულია მუნიციპალიტეტების მიხედვით და ხელშეკრულების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებენ მუნიციპალიტეტები

# სასკოლო წიგნები



- ✓ სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასკოლო წიგნების ბეჭდვა ხორციელდება კონსოლიდირებულად
- ✓ ტრანსპორტირებას სკოლებში უზრუნველყოფს მიმწოდებელი

# სასკოლო დაფები




- ✓ სასკოლო ცარცის დაფების შესყიდვა 2020 წელს განხორციელდა კონსოლიდირებულად.
- ✓ ტრანსპორტირებას სკოლებში უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

# საოფისე ავეჯი



- ✓ კონსოლიდირებულად ხორციელდება სხვადასხვა დასახელების საოფისე ავეჯის შესყიდვა კერძოდ: მაგიდების, სკამების, კარადების და ტუმბოების.
- ✓ აღნიშნული ხორციელდება თანმდევი მომსახურებით, ადგილზე მიწოდება და აწყობა.

# ნაგავშემკრები კონტეინერები



- ✓ ნაგავშემკრები კონტეინერების შესყიდვა 2020 წელს განხორციელდა კონსოლიდირებულად.
- ✓ ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

# COVID-19-თან დაკავშირებული სხვადასხვა პროდუქტები

- ᲓᲔᲖᲝᲑᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲝᲚᲘᲓᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲘ
- ᲞᲘᲠᲑᲐᲓᲔᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲝᲚᲘᲓᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲔᲑᲘ
- ᲮᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲓᲔᲖᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲓᲘᲡᲞᲔᲜᲡᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲝᲚᲘᲓᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲔᲑᲘ
- ᲡᲐᲓᲔᲖᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲝᲚᲘᲓᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲔᲑᲘ
- ᲣᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲝ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝ ᲗᲔᲠᲛᲝᲛᲔᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲝᲚᲘᲓᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲘ

# საქართველოს მთავრობის N446 დადგენილება

**კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ**

**მუხლი 1**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $20^2$ მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ დადგენილების დანართით განისაზღვროს საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი, რომლის ფარგლებშიც 2019 წლიდან შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა განხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.

**მუხლი 2**

ამ დადგენილების დანართით განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების შესასყიდად კონსოლიდირებული ტენდერების განხორციელების კონკრეტული თარიღები და შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტები, აგრეთვე სატენდერო კომისი(ებ)ის შემადგენლობა და სხვა სათანადო საკითხები განისაზღვროს საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებებით.

**მუხლი 3**

1. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებმა და მათ კონტროლს დაქვემდებარებულმა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა 2019 წლისთვის საჭირო ის საქონელი და მომსახურება, რომელიც ექცევა ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებულ ჩამონათვალში, შეისყიდონ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებით.
2. ეთხოვოთ შემსყიდველ ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული ამ მუხლის პირველ პუნქტში, 2019 წლისთვის საჭირო ის საქონელი და მომსახურება, რომელიც ექცევა ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებულ ჩამონათვალში, შეისყიდონ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებით.
3. ამ მუხლის შესაბამისად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ შესყიდვა უნდა შეათანხმოს მის განხორციელებამდე, მანამ, სანამ იგი, დადგენილი წესით, გააფორმებს ხელშეკრულებას შესაბამისი კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე.

**მუხლი 4**

საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს სათანადო ღონისძიებები ამ დადგენილების აღსრულებისთვის.

**მუხლი 5**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ - მინისტრი** **მამუკა ბახტაძე**

# კონსოლიდირებული ტენდერების დადებითი შედეგები




- ✓ საბიუჯეტო სახსრების ეკონომია
- ✓ საქონლის/მომსახურების ხარისხის ეფექტური მონიტორინგი
- ✓ დაზოგილი ადმინისტრაციული რესურსები
- ✓ არამიზნობრივი შესყიდვების შემცირება
- ✓ ბიზნეს კომპანიების გაზრდილი დაინტერესების ხარისხი და კონკურენციის დონე
- ✓ ერთიანი სტატისტიკური მონაცემების ბაზის არსებობა

# მადლობა ყურადღებისთვის!